ამერიკელი მონის

ფრედერიკ დაგლასის

მონათხრობი საკუთარ ცხოვრებაზე

ფრედერიკ დაგლასი

საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

მთარგმნელი	ლელა აბდუშელიშვილი
სამეცნიერო რედაქტორი და კომენტარები	ცირა ჩიკვაიძე
რედაქტორი	მარინა ჟღენტი
დიზაინერ-დამკაბადონებელი	ნინო თვალჭრელიძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2023

ყველა უფლება დაცულია.

დაიბეჭდა საქართველოში. შპს. „საქართველოს უნივერსიტეტი“

Funded through the Book Translation Program, U.S. Embassy in Georgia

Government of the United States

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში

ISBN 978-9941-9807-4-9

მისამართი: 77ა, მ. კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: +995 032 2 55 22 22
ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

ამერიკელი მონის

ფრედერიკ დაგლასის

მონათხრობი საკუთარ ცხოვრებაზე

დაწერილი დაგლასის მიერ

ბოსტონი

გამოიცა მონობის საწინააღმდეგო ოფისში

კორნჰილის #25, 1845

რეგისტრირებული, კონგრესის აქტის თანახმად, 1845 წელს,
ფრედერიკ დაგლასის მიერ
მასაჩუსეტსის საოლქო სასამართლოს კანცელარიაში.

სარჩევი

ავტორის შესახებ 7

წინასიტყვაობა 11

წერილი უენდელ ფილიპსისგან, ისკვაიერი..29

თავი I.....39

თავი II 48

თავი III 57

თავი IV 64

თავი V.....71

თავი VI 79

თავი VII 85

თავი VIII 96

თავი IX 104

თავი X..... 114

თავი XI 161

დანართი 184

საძიებელი 197

ავტორის შესახებ

1845 წელს ბოსტონში, აშშ გამოიცა წიგნი „ამერიკელი მონის ფრედერიკ დაგლასის მონათხრობი საკუთარ ცხოვრებაზე“ (Narrative of the Life of Frederick Douglass, an American Slave, Written by Himself). ის მაშინვე იქცა ბესტსელერად, 5 ათასი ეგზემპლიარი გაიყიდა ოთხ თვეში. ამ ავტობიოგრაფიული ნაწარმობის ავტორი იყო გაქცეული მონა — ფრედერიკ დაგლასი, რომელიც მოგვიანებით გახდა მწერალი, აბოლიციონისტი, გაზეთის რედაქტორი, ორატორი და პოლიტიკოსი. იგი იბრძოდა მონობის გაუქმებისათვის და იყო და არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფერადკანიანი პიროვნება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფრედერიკ დაგლასი (ნამდვ. სახ. - ფრედერიკ ოგასტეს ვაშინგტონ ბეილი) დაიბადა მონობაში, სავარაუდოდ, 1817 ან 1818 წელს ჩესაპიკის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისტონის მახლობლად, თელბეთის ოლქი, მერილენდი, აშშ. 1838 წელს ფრედერიკ დაგლასი, ოცი წლის ასაკში, გაიქცა ქვეყნის ჩრდილოეთში, დაოჯახდა, შეიცვალა სახელი და დაიწყო ახალი ცხოვრება მასაჩუსეტსის შტატში, მაგრამ კვლავ თავისი პატრონის საკუთრებად, მონად რჩებოდა.

მან დაწერა სამი ავტობიოგრაფია: პირველი იყო „ამერიკელი მონის ფრედერიკ დაგლასის მონათხრობი

საკუთარ ცხოვრებაზე“. ფ. დაგლასს ეშინოდა, რომ არ დაეჭირათ და ამიტომ წიგნის გამოსვლიდან ცხრამეტი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ბრიტანეთის კუნძულებზე, სადაც მრავალი საჯარო გამოსვლა ჰქონდა სხვადასხვა ქალაქში. მისმა ინგლისელმა მხარდამჭერებმა შეაგროვეს თანხა, რათა გამოესყიდათ ფ. დაგლასის თავისუფლება. 1846 წელს ფ. დაგლასი, მას შემდეგ რაც მისმა მეპატრონემ მისი თავისუფლების სანაცვლოდ მიიღო 711,66 აშშ დოლარი (დღევანდ. კურსით — 28, 705.79 აშშ დოლარი), ოფიციალურად განთავისუფლდა მონობიდან.

1847 წელს ფრედერიკ დაგლასი დაბრუნდა აშშ-ში და როჩესტერში (ნიუ-იორკის შტატი) დაიწყო ყოველკვირეული აბოლიციონისტური გაზეთის „ნორზ სტარ“-ის („ჩრდილოეთის ვარსკვლავი“) გამოშვება, რომელიც შემდეგი ოცი წელი გამოდიოდა. გაქცეული მონებისათვის ღამით, ცაზე ჩრდილოეთის ვარსკვლავი იყო თავისუფლებისაკენ გზის მაჩვენებელი. სწორედ ამიტომ აირჩია ეს სახელი ფ. დაგლასმა თავისი გაზეთის სახელად.

მისი მეორე ავტობიოგრაფია — „მონობა და ჩემი თავისუფლება“ გამოვიდა 1855 წელს. ფრედერიკ დაგლასი აშშ-ში სამოქალაქო ომის (1861-1865) დროს მხარს უჭერდა მონების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ასევე, იღებდა მონაწილეობას აფრიკელი-ამერიკელებისაგან პირველი პოლკების (მასაჩუსეტსის 54-ე და 55-ე) ფორმირებაში. სამოქალაქო ომის შემდეგ კი, გააგრძელა თავისი აქტიური მოღვაწეობა მონობის წინააღმდეგ და დაწერა მესამე ავტობიოგრაფია „ფრედერიკ დაგლასის ცხოვრება და ეპოქა“, რომელიც 1881 წელს გამოიცა.

ფ. დაგლასი იყო ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც ესწრებოდა 1848 წელს სენეკა ფოლსში (ნიუ-იორკის შატატი) ჩატარებულ ქალთა პირველ ყრილობას.

ეს ყრილობა მიჩნეულია ამერიკელ ქალთა საარჩევნო უფლებების მოძრაობის აქტიური ფაზის დასაწყისად. მან, ყრილობის შემდეგ გაზეთში „ნორზ სტარ“-ი დაწერა: „რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქალსაც სამართლინად ეკუთვნის ყველა ის უფლება, რასაც მოვითხოვთ კაცისათვის“. ფ. დაგლასმა ლუკრეცია მოტისთან, ელიზაბეტ ქეიდი სტენტონსა და ასევე, სხვა ამერიკელ ფემინისტ ლიდერებთან ერთად დაარსა *თანასწორი უფლებების ამერიკული ასოციაცია*, რომელიც მხარს უჭერდა ყველასთვის საარჩევნო უფლების მინიჭებას.

და კიდევ, ყოველწლიურად თებერვლის თვე აშშ-სა და კანადაში აღინიშნება როგორც შავი ისტორიის თვე (აფრო-ამერიკული ისტორიის თვე). რატომ თებერვალი? ამერიკელი ისტორიკოსი კარტერ გოდვინ ვუდსონი, რომელმაც 1926 წლის თებერვლიდან შემოიღო „ზანგთა ისტორიის კვირეულის“ (წინამორბედი აფროამერიკული ისტორიის თვის) აღნიშვნა, არჩევდა რა დროს, შეეცადა ის დაემთხვია აბრაამ ლინკოლნისა და ფრედერიკ დაგლასის დაბადების დღეებისათვის. ფ. დაგლასი, რომელმაც არ იცოდა თავისი დაბადების დრო და თარიღი, დაბადების დღეს აღნიშნავდა 14 თებერვალს. აბრაამ ლინკოლნის დაბადების დღე კი 12 თებერვალია. ფ. დაგლასი გარდაიცვალა 1895 წელს.

წინამდებარე წიგნი არის ფ. დაგლასის პირველი ავტობიოგრაფიის პირველი გამოცემის (ბოსტონის) თარგმანი. წიგნში, თითოეული თავის შემდეგ მოცემულია კომენტარები, რათა ქართველი მკითხველისათვის უფრო გასაგები იყოს ზოგიერთი ტერმინი, ისტორიული მოვლენა, ის საზოგადოება, გარემო და წესები, რომელშიც ცხოვრობდა ფ. დაგლასი XIX საუკუნის ამერიკაში.

წინასიტყვაობა

1841 წლის აგვისტოს თვეში დავესწარი მონობის საწინააღმდეგო ყრილობას ნანთაკეთში, სადაც, ჩემდა სასიხარულოდ, გავიცანი წინამდებარე მონათხრობის ავტორი ფრედერიკ დაგლასი. იგი ამ ღონისძიების თითქმის ყველა წევრისთვის უცნობი იყო; ის სულ ახლახან გაექცა სამხრეთის მონობის ტყვეობას და შეპყრობილი იყო საოცარი ცნობისმოყვარეობით გარკვეულიყო აბოლიციონისტების[1] პრინციპებსა და ქმედებებში, რომელთა შესახებაც მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მაშინ, როდესაც მონა იყო. ის დაარწმუნეს[2], დასწრებოდა ნახსენებ ღონისძიებას, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს იგი ნიუ ბედფორდის მაცხოვრებელი იყო.

კეთილის მაუწყებელი, ყველაზე იღბლიანი შემთხვევა! — გაუმართლა მის მილიონობით ხელბორკილდადებულ ძმას, რომლებიც საშინელი მონობის ბორკილებისგან დახსნას ლამობენ! — გაუმართლა ზანგთა ემანსიპაციისა[3] და საყოველთაო თავისუფლების საქმეს! — გაუმართლა იმ მიწას, სადაც ის დაიბადა და რომლის გადასარჩენად და კურთხევისათვის უკვე ამდენი გააკეთა! — გაუმართლა ნაცნობ-მეგობრების ფართო წრეს, რომელთა სიმპათია და თანაგრძნობა მტკიცედ მოიპოვა იმ მრავალი ტანჯვით,

რომელიც მან გამოიარა, მისი ხასიათის კეთილი თვისებებით, მათზე მუდმივი ფიქრითა და ზრუნვით, ვინც ხელბორკილდადებულნი არიან, და რომლებთანაც იგი დაკავშირებულია! — გაუმართლა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მყოფ მრავალ ადამიანს, რომლებისთვისაც ნათელი გახადა მონობის საკითხი და რომლებიც, მისი პათოსის გამო, ცრემლებამდე მიდიოდნენ, მისმა ამაღელვებელმა მჭევრმეტყველებამ მათში გააღვიძა აღშფოთება ადამიანთა დამმონებელთა წინააღმდეგ! — გაუმართლა თავად მასაც, რადგან იგი უცებ გამოვიდა რა საზოგადოებისათვის სასარგებლო არენაზე, „კაცის სახედ დაესახათ სრული ქმნილება!“[4], გამოაღვიძა მისი სულის მიძინებული ენერგია და მიუძღვნა იგი უდიდეს საქმეს — გადაუმტვრიოს მათრახი მჩაგვრელს, და ჩაგრული კი გაათავისუფლოს!

არასდროს დამავიწყდება მისი პირველი სიტყვა ყრილობაზე — მან საოცარი ემოცია გამოიწვია ჩემში — ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გადაჭედილ აუდიტორიაზე, რომელიც სრულიად გაოგნებული იყო, მუდამ მემახსოვრება აპლოდისმენტები, რომლებიც თავიდან ბოლომდე სდევდა მის მართებულ გამონათქვამებს. ვფიქრობ, არასდროს მძულდა მონობა ისე მძაფრად, როგორც იმ მომენტში; მართლაც, ჩემი უსაზღვრო აღშფოთება არასდროს ყოფილა ასე ნათელი და ცხადი, რაც გამოწვეული იყო მონობის მიერ თავის მსხვერპლთა ღვთიურ ბუნებაზე განხორციელებული ძალადობით. იქ იდგა ერთი კაცი, ძლიერი და სწორი ფიზიკური პროპორციებითა და აგებულებით — მდიდარი ინტელექტით — ბუნებრივი მჭევრმეტყველებით — საოცრება, სულით „ოდნავ თუ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე...“,[5] — მაგრამ მონა, დიახ, გაქცეული, — რომელიც თრთოდა საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად, ძლივს ბედავდა დაეჯერებინა, რომ ამერიკის მიწაზე მოიძებნებოდა ერთი თეთრკანიანი მაინც, რომელიც მას დაუმეგობრდებოდა ყველა საფრთხის დროს,

ღმერთისა და კაცობრიობის სიყვარულით! მას აქვს უნარი იყოს მაღალინტელექტუალური და ზნეობრივი არსება და ამის მისაღწევად მხოლოდ მცირე ხელშეწყობა, წახალისება სჭირდება და ის საზოგადოების მშვენებად და მისი რასის წყალობად მოგვევლინება — და მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის კანონით, ხალხის შეხედულებით, მონობის კოდექსით, ის იყო მხოლოდ ქონების ნაწილი, მუშა საქონელი, პირადი მოძრავი ქონება!

მისტერ დაგლასს მისმა საყვარელმა მეგობარმა ნიუ ბედფორდიდან გასაქანი არ მისცა და მოუწოდა გამოსულიყო ყრილობაზე. ის ტრიბუნაზე გაუბედავად და დაბნეულად გამოვიდა, რაც გარდაუვალია მგრძნობიარე გონებისათვის ასეთ ახალ მდგომარეობაში. მან თავდაპირველად აუდიტორიას ბოდიში მოუხადა უმეცრებისთვის და მსმენელებს შეახსენა, რომ მონობა ადამიანის ინტელექტისა და გულისთვის დამთრგუნველი გამოცდილება იყო. შემდეგ მან შეკრებილებს უამბო რამდენიმე ფაქტის შესახებ თავისი მონობის ისტორიიდან, და გამოსვლისას გამოთქვა მრავალი კეთილშობილური აზრი და ამაღელვებელი მოსაზრება. როდესაც მან, იმედითა და აღტაცებით აღვსილმა, თავისი ადგილი დაიკავა, მე წამოვდექი და განვაცხადე, რომ პატრიკ ჰენრის,[6] ცნობილ რევოლუციონერს, არასოდეს წარმოუთქვამს ისეთი მჭევრმეტყველური სიტყვა თავისუფლების დასაცავად, როგორიც ახლა მოვისმინეთ იმ ადამიანის პირიდან, რომელზეც, როგორც გაქცეულზე, ნადირობაა გამოცხადებული. მე, მაშინ ამის მჯეროდა და ახლაც ამის მწამს. მე მსმენელებს შევახსენე იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ამ თვითგათავისუფლებულ ახალგაზრდა კაცს ჩრდილოეთში ელოდა, — მასაჩუსეტშიც კი, პილიგრიმი მამების[7] მიწა-წყალზე, რევოლუციონერი წინაპრების მემკვიდრეებთან; და მე მათ მივმართე, ოდესმე თუ დაუშვებდნენ, რომ ისევ მონობას დაბრუნებოდა, — კანონით

თუ მის გარეშე, კონსტიტუციით თუ მის გარეშე. ყველამ ერთხმად და ომახიანად გამცა პასუხი — „არა“ ! „დაეხმარებით და დაიცავთ მას როგორც თანამოძმეს — და ძველი “ყურის შტატის”[8] მკვიდრს?“„ДІАХ! “ დაიყვირა მთელმა მასამ ისე ომახიანად და ენერგიულად, რომ დაუნდობელ ტირანებსაც კი მეისონ-დიქსონის ხაზის[9] სამხრეთით, შესაძლოა, გაეგონათ ამ მძლავრი გრძნობის ხმა და მიეღოთ ის, როგორც უძლეველი შემართებისა და გამბედაობის ფიცი იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც ეს გააკეთეს, არასდროს ეღალატათ იმ ადამიანისთვის, რომელიც იძულებულია იხეტიალოს. პირიქით, დაემალათ გარიყული და მტკიცედ აეტანათ ის შედეგები, რაც ამას მოჰყვებოდა.

მე მაშინვე გამიჩნდა აზრი, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა დამერწმუნებინა მისტერ დაგლასი, რათა მას თავისი დრო და ნიჭი დაეთმო მონობის წინააღმდეგ მოძრაობის ხელშეწყობისთვის. ეს იქნებოდა მძლავრი იმპულსი, და ამავე დროს, მნიშვნელოვანი დარტყმა ჩრდილოეთის ცრურწმენაზე ფერადი კანის მქონე ადამიანების თაობაზე. შესაბამისად, მე ვცადე, შთამეგონებინა იმედი და სიმხნევე მისთვის, რათა მას გაებედა და ამ საქმეში მაქსიმალურად ჩართულიყო, რაც მის სიტუაციაში საკმაოდ არაორდინალური და საპასუხისმგებლო იყო. შესაბამისად, ჩემმა თბილმა და ტკბილმა მეგობრებმა კიდევ უფრო წამახალისეს, განსაკუთრებით, „მასაჩუსეტსის მონობის საწინააღმდეგო საზოგადოების“[10] მოგვიანებით დანიშნულმა მთავარმა წარმომადგენელმა მისტერ ჯონ ა. კოლინზმა,[11] რომლის მსჯელობა ამ შემთხვევაში სრულიად ემთხვეოდა ჩემსას. თავდაპირველად, მას არანაირი მხარდაჭერა არ გამოუხატავს; პირუთვნელი თავმდაბლობით გაგვიზიარა საკუთარი შეხედულება, რომ სრულიად არ შეეფერებოდა ასეთი დიადი ამოცანის შესრულებას; მის მიერ გასავლელი გზა სრულიად გაუკაფავი იყო; გულწრფელად მიაჩნდა,

რომ სიკეთეზე მეტად ზიანის მომტანი იქნებოდა. თუმცა, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ დათანხმდა, სცადა და იმ პერიოდიდან მოყოლებული, ასრულებდა საჯარო გამომსვლელის ფუნქციას ამერიკის ან „მასაჩუსეტსის მონობის საწინააღმდეგო საზოგადოების“ ეგიდით. მუშაობაში აქტიური და საქმიანი იყო; ცრუ შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი წევრების მოზიდვასა და საზოგადოებრივი აზრის აგიტაციაში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინებს, რაც მისი ბრწყინვალე კარიერის დასაწყისში დაისახა. ის იქცეოდა მშვიდად და თვინიერად, თუმცა, ამას თან ერთვოდა მისი მტკიცე და ვაჟკაცური ხასიათი. როგორც ორატორი, ის გამოირჩევა პათოსით, გონებამახვილობით, შედარებებით, იმიტაციით, ძლიერი მსჯელობითა და სრულყოფილი მეტყველებით. მასში შერწყმულია გონიერება და სულიერება, რაც ასე მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების გონის განსანათლებლად და გულების მოსანადირებლად. დაე, მისი სიმტკიცე კვლავ იყოს დროის შესაბამისი! დაე, მან კვლავ „იზარდოს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლითა და შემეცნებით“[12], ის, შინ თუ გარეთ, სულ უფრო და უფრო საჭირო იქნება ძალღონეგამოლეულ, ქანცგაწყვეტილ ადამიანთა მოდგმისათვის!

უდავოდ ღირშესანიშნავი ფაქტია, რომ საზოგადოებაში მონების ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური დამცველი დღეისათვის გაქცეული მონაა ფრედერიკ დაგლასის სახით; და რომ შეერთებული შტატების თავისუფალი ფერადკანიანი მოსახლეობა ასევე, კომპეტენტურადაა წარმოდგენილი ერთ-ერთი მათგანის, ჩარლზ ლენოქს რემონდის[13] სახით, რომლის მჭერმეტყველებამ მასების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს. დაე, ფერადკანიანების ცილისმწამებლებს ეზიზღებოდეთ საკუთარი თავი თავიანთი სიმდაბლისა და